კუიბიშევი. “დინამოს” სტადიონი. 19 ივლისი.

“კრილია სოვეტოვი” (კუიბიშევი) - “დინამო” (თბილისი) 1:0 (0:0).

“კრილია სოვეტოვი”: კოტლიაროვი, მაიოროვი, სახაროვი, კაპსინი, ვალკოვი, ვერბოვსკი, გორშკოვი (კორსუნოვი), მარტინოვი, კაზაკოვი, ჟუკოვი, არიაპოვი (ტიმოშენკო).

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, ასათიანი, ხურცილავა, მეტრეველი, გ. ნოდია (ილიადი), გავაშელი.

მსაჯი ბ. სტრელეცკი (დონეცკი).

კუიბიშევის გუნდს ბოლო დროს ცუდად წაუვიდა საქმე. უფრო სწორად რომ ვთქვათ, “კრილია სოვეტოვს” კარგა ხანია მძიმე მდგომარეობა შეექმნა. თავად განსაჯეთ: 17 მაისს ამ გუნდმა შინ მიიღო ალმა-ათის “კაირატი”, დაამარცხა იგი (2:0) და გათამაშების ცხრილში III ადგილზე გადაინაცვლა. ეს იყო და ეს. მას შემდეგ “კრილია სოვეტოვის” გამარჯვება არავის უნახავს. 17 მაისიდან მოყოლებული, ვოლგელებმა 7 მატჩი წააგეს და მხოლოდ 2 დაამთავრეს ფრედ; 11 ბურთი გაუშვეს და მხოლოდ 4 გაიტანეს. გუნდი III ადგილიდან XIV ჩამოქვეითდა. ეს ბუნებრივიცაა: 18 შესაძლებლიდან 16 ქულის დაკარგვა სხვას რას მოგიტანს?

აი, ასეთი კატასტროფული ბალანსით მიიღო “კრილია სოვეტოვმა” ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი - თბილისის “დინამო”, გუნდი, რომელიც ახლა მყარ, სტაბილურ ფორმაშია და შესანიშნავი მაჩვენებლებიც აქვს მოპოვებული. ყოველ შემთხვევაში, კუიბიშეველ ფეხბურთის მოყვარულებს კარგად ახსოვთ თბილისელთა ბრწყინვალე გამარჯვება მოსკოვის “ტორპედოსთან” სულ ახლახან, 15 ივლისს.

და სწორედ ასეთ დროს, როცა საქმე გვაქვს ხოლმე ამგვარ აშკარა უთანასწორობასთან, ე.წ. სუსტი გუნდი ახდენს მთელი თავისი ძალისა და უნარის მობილიზებას, იმსჭვალება გამარჯვების რწმენით და საწადელსაც აღწევს.

ეს, რა თქმა უნდა, ეხება კუიბიშევის გუნდს. “კრილია სოვეტოვმა” განვლილ მატჩში გააკეთა მაქსიმუმი, რაც კი მას ძალუძდა, ითამაშა მთელი შესაძლებლობით და აიღო 2 ქულა, რომელიც მისთვისაც უაღრესად საჭირო იყო და... თბილისელთათვისაც. მასპინძლები ყოველმხრივი ქების ღირსი არიან, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით სტუმრებზე. დინამოელები როგორღაც მოუნდომებლად, თითქოს ნახევარი ძალით თამაშობდნენ და ეს პასიურობა გუნდს მესამე წაგებად და მეექვსე გაშვებული გოლის ფასად დაუჯდა.

ტაიმი საკმაოდ დუნედ ჩატარდა, დაბალ ტემპში და უინტერესოდ. შედარებით გამოსწორდა თამაში შესვენების შემდეგ. იყო შემთხვევები, როცა ხურცილავა, გავაშელი, ასათიანი ახლოს იყვნენ მეტოქის კარის აღებასთან, მაგრამ საერთო ტერიტორიული უპირატესობა მასპინძლებს ჰქონდათ. მათ საუცხოოდ გამოიყენეს დინამოელთა საერთო ინერტულობა და გაიტანეს გოლი, რომელმაც მათ გამარჯვება მოუტანა. მატჩის დამთავრებას 10 წუთი აკლდა. თბილისელთა საჯარიმო მოედანზე მოწოდებული ბურთი თავით გაიტანა “კრილია სოვეტოვის” კაპიტანმა კაზაკოვმა და ამ ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა კიდეც შეხვედრის ბედი.

ა. ანუროვი.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
“ლელო”, 21 აგვისტო, 1968 წ.